



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება #4

2016 წლის 11 მარტი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - დაბა ჟინვალში მდებარე ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 71.52.03.081) პირველ სართულზე, 20კვ.მ საოფისე ფართის სარგებლობაში, ქირავნობის ფორმით ფ/პ ნატო ფრიდონაშვილზე, გადასაცემად დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დაბა ჟინვალში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 71.52.03.081) პირველ სართულზე, 20კვ.მ საოფისე ფართი სარგებლობაში, ქირავნობის ფორმით გადასცეს ფ/პ ნატო ფრიდონაშვილს 400 (ოთხასი) ლარად წელიწადში.

2. განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს გამგეობას და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი